ტემპუსის პროექტის შედეგების შეფასება მედიცინის ფაკულტეტზე

მედიცინის ფაკულტეტზე 2010 წლიდან მიმდინარეობს და მიმდინარე კვირას სრულდება ევროკავშირის ტემპუსის პროექტი ,,სამაგისტრო პროგრამები საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და სოციალურ სერვისებში'' (პროექტის კოორდინატორი - ვინსენტ ობრაიანი და დაიანა მარდელი, კუმბრიის უნივერსიტეტი, (დიდი ბრიტანეთი); პროექტის მენეჯერი - ნინო ჩიხლაძე, თსუ ასოცირებული პროფესორი).
პროექტის მონაწილე უნივერსიტეტებია:
კუმბრიის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), ბაიბის-ბოლიაის სოციალური კვლევის უნივერსიტეტი (რუმინეთი), ტექნოლოგიების სამეფო ინსტიტუტი KTH (შვედეთი), ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (სომხეთი), კიშინოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სახელმწიფო სამედიცინო და ფარმაცევტული უნივერსიტეტი (მოლდავეთი), ხოლო საქართველოს მხრიდან ჩვენი პარტნიორია საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა.

პროექტი მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების სფეროში თანამშრომლობას პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან, გამოცდილების გაზიარებას, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, მოცემული პროგრამის სტუდენტებისათვის ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას და განვითარებას, უახლესი სასწავლო ლიტერატურით მომარაგებას.
პროექტის მიმდინარეობის პერიოდში სამუშაო შეხვედრები და კონფერენციები ჩატარდა სომხეთში, მოლდავეთში, დიდ ბრიტანეთში, შვედეთში, რუმინეთში.
პირველივე შეხვედრაზე დეტალებში განისაზღვრა არსებული სამი წლის სამოქმედო გეგმა, შეფასდა პარტნიორ ქვეყნებში საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურების სფეროში არსებული მდგომარეობა, განხილული იქნა თითოეულ ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო და საკვალიფიკაციო ჩარჩოები, საგანმანათლებლო პროგრამები.
ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებში ჩატარებული სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები მიეძღვნა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: კურიკულუმის განვითარება, სწავლების, სწავლის და შეფასების ინოვაციური სტრატეგიები, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები სწავლების პროცესში და ზოგადად უმაღლესი განათლების სისტემაში, კვლევითი კომპონენტის ადგილი კურიკულუმში, კვლევის ეთიკა და კანონმდებლობა უმაღლესი განათლების სისტემის კონტექსტში. შეხვედრებზე საინტერესო და ინტერაქტიური დისკუსიები ეძღვნებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პროექტის სტრუქტურა და მენეჯმენტი, ხარისხის უზრუნველყოფა და სხვა.
პროექტის ფარგლებში დიდ ბრიტანეთში, ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი: ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურები: მიდგომები დახელოვნებისა და განვითარებისათვის'', ხოლო საქართველოში შუალედური კონფერენცია: ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა და სოციალური სერვისები - განათლებიდან პრაქტიკამდე''.

საზაფხულო სკოლა ქართველი სტუდენტებისათვის დიდი ბრიტანეთის, შვედეთის და რუმინეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით. მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევამ და შედეგების პრეზენტაციამ მოწვეული პროფესურისაგან უმაღლესი შეფასება მიიღო, ხოლო მომხსენებელი სტუდენტი ლამარა გრატიაშვილი მიწვეული იქნა შემაჯამებელ კონფერენციაზე მოლდოვეთში, რომელიც შედგა მიმდინარე წლის სექტემბერში.

ინფორმაცია პროექტის შესახებ განთავსებული იქნა მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე, მომზადებული იქნა სპეციალური ფლაიერები, რომელიც გავრცელებული იქნა განათლების ფორუმზე საგამოფენო ცენტრში „ექსპო-ჯორჯია“, ჩატარდა როგორც ჯგუფური, ისე ინდივიუდუალური შეხვედრები სხვადასხვა ფაკულტეტების დამათავრებელი კურსის სტუდენტებთან. პროექტის წარმატებას არსებული სტატისტიკაც ასახავს: 2010 წელს სამაგისტრო პროგრამაზე 4 სტუდენტი ჩაირიცხა, 2011 და 2012 წელს-7, ხოლო 2013 წელს -12.



პროექტის ფარგლებში ჩატარებული მუშაობა და შედეგები განხილული იქნა მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და შეფასებული იქნა როგორც წარმატებული პროექტი.
პროექტის ფარგლებში განახლდა და დაიხვეწა როგორც სამაგისტრო პროგრამის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა'' (პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნატა ყაზახაშვილი) საგანმანათლებლო კურიკულუმი, ისე სასწავლო კურსები, შემუშავებული და დანერგილი იქნა ახალი ელექტიური სასწავლო კურსები („ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებათა პრევენცია“ და „სოციალური ფსიქოლოგია“), მომზადების პროცესშია სილაბუსი ელექტიური საგნისთვის „სოციალური სერვისები“, დაიხვეწა სწავლებისა და შეფასების სისტემა, უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით მომზადდა და გამოიცა სამი დამხმარე სახელმძღვანელო და რამდენიმე პუბლიკაცია, მომზადების პროცესშია ორი დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემა, მომზადდა ქართულ ენაზე დამატებითი წასაკითხი მასალა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ტერმინების ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ელ. ვერსია, შეძენილი იქნა თანამედროვე ტექნიკა და ლიტერატურა, ტრენინგი გაიარა სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა, დამყარდა მჭიდრო კავშირები პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და ზოგიერთ მათგანთან დაწყებულია ახალი ერთობლივი კვლევებისა და პროექტების განხორციელება, ერთობლივი გადაწყვეტილების შესაბამისად პროექტის ოფიციალური ვებ-გვერდი (www.tempusproject.co.uk) გააგრძელებს ფუნქციონირებას, სადაც პროექტის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ ასახონ მათ უნივერსიტეტებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული სიახლეები.
2013 წლის 15 ოქტომბერს ტემპუსის პროექტი ოფიციალურად სრულდება, თუმცა პროექტის ფარგლებში დაწყებული თანამშრომლობა და საქმიანობა კვლავ გრძელდება.